

მაგდა მჭედლიძე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თარგმანი, პარაფრაზი თუ მეტაფრაზი? ექვთიმე
ათონელის მიერ გრიგოლ ღვთისმეტყველის ტექსტის
ქართულად გადმოღებისათვის

მოხსენება შეეხება ტექსტის ერთი ენიდან სხვა ენა-ზე გადმოღების ტიპების განსაზღვრას. საკითხი განიხილება ათონის მთარგმენტობითი-საგანმანათლებლო სკოლის მამამთავრის – ექვთიმე მთანმიდელის მიერ ბერძნულიდან ქართულად გადმოღებული გრიგოლ ღვთისმეტყველის ავტორიტეტული ტექსტების ანალიზის საფუძველზე. ექვთიმესათვის დამახასიათებელი თავისებურებები ტექსტის ბერძნულიდან ქართულად გადმოღებისა იმთავითვე კარგად იყო გაცნობიერებული უკვე მისი საქმის უშუალო გამგრძელებლების მიერ: რომ მას ხელენიფებოდა ორიგინალის ტექსტისათვის კლებაც და შემატებაც. გამომდინარე იქიდან, რომ ტექსტისადმი მისი ეს მიდგომა სულიინმიდის მადლს მიწერებოდა, მის ნაშრომს პატივს მიაგებდნენ, მაგრამ მიბაძვას დაუშევებლად თვლიდნენ. ამიტომაც ექვთიმეს მიერ გადმოღებული თხზულებები ხშირად ხელმეორედ ითარგმნებოდა დედნის ტექსტის მაქსიმალურად სიტყვასიტყვით გადმოცემის მიზნით. ექვთიმეს შრომებს მეცნიერებაში დინამიური ეკვივალენტის ტიპის თარგმანებად განსაზღვრავენ, მაგრამ საკითხავია, რამდენად შეიძლება მათ ეწოდოთ თარგმანი (ინტერლინგვური თარგმანი) ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

